

1949

# სიანბი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

№ 20. თბილისი. 1949 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“.

გამოცემის წელი XXVI.

ფასი 2 მან.

Обязательный экземпляр

საქართველოს სსრ-ის წიგნის პალატა  
№ 2369  
შემოსვლა 22/1  
1



რესპუბლიკარ შუაიბრზე-სხანოსნობაში

არც აქ უფობენ ერთმანეთს პირველობას.

ნახ. ე. ბერძენიშვილის და გ. ფირცხალავასი



**გომინალური უნია და მისი მხარდნი**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის მე-4 სესიაზე, ამერიკელი იმპერიალისტების წაქეზებით, ანტი-საბჭოთა ცილისმწაპებლური სიტყვით გამოვიდა უკვე განადგურებული გომინდანის „მთავრობის წარმომადგენელი“ ცზიან-ტინ-ფუ.

ნახ. მ. ვაღბოლსკისა



ქუცი, ქუცი, ცზიან-ტინ-ფუ, შეუყვამე, ნუ ხარ უქმად, ტყუილად ხომ არ გაკმევენ სამოწყალოდ პურის ლუკმას?



**წითელწყაროს კომპანის გაგზავნა დავით ინასარიძის**

გულითადი მოკითხვა პატივცემულ დავით! სრულიად სამართლიანი საყვედური მოგვივიდა წითელწყაროდან: ამდენი ხალხის დეაწლი რომ შეგაქვს ისტორიის ნუხაში, რატომ ერთხელ არ გაიხსენებ ჩუმ მუშაკებს, რომლებიც თავისი საქმიანობით სხვებს არ ჩამოუვარდებიან, მაგრამ შეუმჩნეველნი რჩებიანო?

ეჭვი არ არის, მანდაურები თქვენ გგულისხმობენ. მართლაც და რა ჩუმნი და შეუმჩნეველია თქვენი მრავალმხრივი კომუნალური გარჯა, რა ორიგინალური შეჩერება გაქვთ წამოწყებული საქმიანობისა, რა საინტერესო ანგარიშგება და ბალანსები, რა საყურადღებო ათვისება... თანხებისა და რა უყურადღებოდ რჩება ყველა ეს თქვენი ნაღვანა-ნაამაგარი!

ავიღოთ ისეთი უბრალო მაგალითი, როგორცაა ახალი სასტუმროს მშენებლობა: ჩვენ გაგებული გვაქვს, როგორი აღფრთოვანებით დაიწყეთ მისი აგება. ფული მთლიანად თქვენს განკარგულებაში იყო. გასულ წელს (ე. ი. 1948 წ.) უნდა დაგეზარჯათ 460.771 მანეთი და სასტუმროც მზად იქნებოდა. თქვენივე გამოთქმა რომ ვინმაროთ, საქმეს ყოველნაირად „უტემბეთ“, მაგრამ 373.016 მანეთზე მეტი ვერ დახარჯეთ. ეს თანხა მხოლოდ მშენებ-

ლობის 50 პროცენტს მოხმარდა. დანარჩენ 50 პროცენტს გაიხურეთ და ახლა ტემბებიც მივიწყებული გაქვთ და სასტუმროს მშენებლობაც. მშენებლობის შეჩერებას, გადახარჯვას და ხელგაშლილობას თქვენთვის დარღობა არ გამოურევია თმაში, აქედან თუ რამე გადარდებთ—ეს ის, რომ სასტუმროს აგებისათვის გათვალისწინებული თანხიდან აუთვისებელი დაგრჩათ 27.755 მანეთი, მაგრამ ჩუმნი კაცი ხართ და ამ ჯავრს ჩუმად იტრიანებთ გულში.

რაკი ახალ სასტუმროს თავი ვერ მოაბით, ისევ ძველ სასტუმროს მიუტრიალდით და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე 2.372 მანეთით ზედმეტი წაახარჯეთ, მაგრამ „შეკეთება“ ისეთი უიღბლო ხასიათისა გამოვიდა, რომ მაგ ჩანაგას და იავარქმნილ სასტუმროს გაჭირვებულის მეტი არავინ ეკარება და ისიც მხოლოდ დებიტორული წესით ისე, რომ მარტო 1948 წლიდან მაგ სასტუმროს დებიტორული დავალიანება 7.850 მანეთი მოგძახის დღესაც: „არჩია, დავით, გამანადღეო“. მაგრამ ეგ რა მოსატანია, როცა საპარიკმახეროდანაც კი 30.996 მანეთი დებიტორული დავალიანება ვერ გაგინადღებია? რას იზამ, პატივცემულო დავით, ხათრია, ხათრია.

რაკი სიტყვამ მოიტანა—საბინაო სამმართველოს დავალიანებასაც გაიხსენებდა კაცი—სულ „რაღაც“ 21.200 მანეთს. შეიძლება ისიც ღირდეს გახსენებად, რომ 1948 წ. მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადებიდან შენთან „ხელზე დარჩა“ 1.588 მანეთი, ბუხშალტერ პოპიაშვილზე—3.217 მანეთი, საწყობის გამგე ჯანყარაშვილზე—1.944 მანეთი, კიკილაშვილზე—2.480 მანეთი.

იმავე ხათრიანობის წყალობა უნდა იყოს, რომ წლების განმავლობაში კომუნალური განყოფილების სადებიტორო დავთრებში ათეული ათასობით ტირიან სახელმწიფო ფულები, აი, ის ფულები, თქვენ რომ სამუშაოს შეუსრულებლად მიეცით ვინმე ხელოსან მათიაშვილს (6496 მანეთი), მეაგურე მის. ტურანოვს (6418 მანეთი), ექსპედიტორ ს. გიგაურს (3580 მან.) და სხვა და სხვა.

შეიძლება არც იმის გახსენება იყოს ზედმეტი, თქვენ რომ 1948 წელს იმ ორი გზის მოასფალტება დაიწყეთ და დაამთავრეთ იმით, რომ ეს ორივე გზა საშვილიშვილოდ წავიდა. აქ კოლმეურნეები მუშაობდნენ, თითქოს ხარჯი არც უნდა გაწეულიყო და არც ხარჯთაღრიცხვა არსებობდა. ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ რაღაც ახირებული ანგარიშები გაჩნდა 52.222 მანეთისა და ეს ფულები აღმა წავიდა თუ დაღმა—დღევანდლამდე გამორკვეული მაინც არ არის. და კიდევ სხვა და კიდევ სხვა (იგულისხმეთ თუნდაც უცნაური მივლინებების ხარჯები!).

აი, რატომ ვფიქრობთ, პატივცემულო დავით, რომ თქვენ, როგორც ჩუმ მუშაკს, ჩუმად ჩაგვიარათ ყველა ამ დამსახურებამ, ჩვენის აზრით, სრულიად უსაფუძვლოდ და დაუმსახურებლად.

ამიტომ, ალბათ, არ დაგვიძრახავთ თქვენი ღვაწლის გამომჩერებას.

*ნიკეი*

**გეოგრაფიის გაკვეთილები**

ნახ. რ. ცუცქირიძისა



მასწავლებელი—მე გეკითხები მარშალის კუნძულებს, შენ კი დიდ ბრიტანეთს მაჩვენებ?

მოსწავლე—უკაცრავად, მასწავლებელო, მეგონა მარშალიზე-ბულ კუნძულებზე მეკითხებოდი!





საბჭოთა პიანისტების ჩამოსვლას ყველა მოუთმენ-  
ლად მოელოდა. აეროდრომზე ტყეა აღარ იყო.  
მიწაზე გასრიალებულ თვითმფრინავს ამერიკე-  
ლებმა უმაღლესი რეკორდები დასწრეს. ქალებმა საკვლე-  
ტო პრანჭვა-ღებვა მოათავსეს და გასაფრენად მომზა-  
დებულ წერტილებით აჩოქოლდნენ.  
ჩვენი თვითმფრინავი დამზღვერთა შუაგულში  
აღმოჩნდა, მაგრამ კარებს მინც არ ვალდებოდა.  
— მოვფრინდით, — მოგვმართა პილოტმა, სავარა-  
ძლებს შორის ქანაობით გამოიარა, მოყაყანე ხალხს  
გადახედა და თითქოს ნუგეშისასცემად გვითხრა:  
— ნუ გიკვირთ, ბატონებო, ეს ნიუ-იორკია, ამე-  
რიკა... ა. შ. შ. და ა. შ. ... და ასე შემდეგ... კარი  
გამოვადრეთ და დამზღვერთა ყოყინა გამოვალ კარსა-  
ვით შემოიჭრა თვითმფრინავში.



ამგვარი უჩვეულო ხმაურებით შემკრთალმა ჩვენ-  
მა პიანისტებმა მხოლოდ ის-და მოახერხეს, რომ მე  
ბავშვებთან ჩამებლაუჭნენ და წინ გამიძლოდეს.  
ამერიკის მიწაზე ჯერ ფეხიც არ დამედგა, რომ  
ვილატამ ბარგი ხელიდან გამოიტაცა. ახლა იგი ერთმა  
ჩასუქებულმა ამერიკელმა დაითრია, რომელიც ამგ-  
ვარი ნადავლით აღფრთოვანებული, გვერდზე გამოიყვია  
და გამოემცნაურა:  
— ელოვინ კერი, ნიუ-იორკის ფილარმონიის... —  
მან დაჯახების გამო სიტყვა ვეღარ დაამთავრა.  
— ალბათ მუსიკოსია, — ვიფიქრე მე და გამეხარა,  
რომ ბარგი აღარ დამეკარგებოდა. საბჭოთა შემსრუ-  
ლებლებს ხალხი ისეთი აღტაცებით შეხედა, თითქოს  
კონცერტი ეს-ეს არის დაუმთავრებიათო. გზას ძლივს-  
ძლივობით მივიკვლევდით. ჩემი ძალად ნაცხობი ხელ-  
ბარგის ფერდუბნი ძვერებით ხალხს გვიგვრიებდა და  
გზას გვიბოვავსუფლებდა. ახლა გვერდიდან შემოგვი-  
ტყეს ქალები შიშველ მკლავებს თითქოს საკოცნე-  
ლად იწვიდნენ, სახესთან მიტრიალებდნენ და მომც-  
რო ფურცლებზე ავტოგრაფის ჩანიშნას მთხოვდნენ.  
თავს უხერხულად ვგრძნობდი. მზრების აჩეჩვით  
პიანისტებს გადავხედე, ვგებ მიშველონ მეტი რამე,  
მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, თვალის ჩაკერის გარდა  
მათგან ვერაფერს ვეღირსე.  
— გამიეტეთ თქვენი ფაქსიმილი... — არ მისვენებდნენ  
ამერიკელები.  
მე საცოდავად გადავხედე ამხანაგებს, რომლებიც  
გაჭიმულ ბუქსირსავით მომდევდნენ. მათ ისევ თვალი  
ჩამიკრეს და ჩვენებურად წაილაპარაკეს: ნუ დაგვდუ-  
ბავ, ჩაუწერე გვარი და ამ გაჭირვებას გადაგვარჩი-  
ნეო...  
მეც ქერა ქალიშვილს წიგნაკი გამოვართვი და  
გაკრულად ჩაუწერე: "ს. ანტონოვი".  
— ბ. ნო ატომოვ, სერ ატომოვ! მომესმა აქეთ-იქი-  
დან ჩემი გვარი ამერიკული ტრანსკრიპციით... — ჩვენც,  
ჩვენც გაგვებდნიყოთ! — წრაპინებდა ქალთა მარაქა.  
— რატომ არ გინდოდათ გვარის აღნიშვნა, — წა-  
მოილულულა ძალად ნაცხობმა, როდესაც მანქანაში  
ჩავსხდით, — რისი გემინიანთ... ვეც საგაზეთო წერილი  
ხომ არ არის, რომ ვრიდებით?.. ქალები შეინახავენ  
თქვენს ნაწერს და გაგისხენებენ... ქალებს მუდამ

უმაღლესი ხელოვნება... თქვენ კი გაუბრუნდით. ნუთუ  
არ გესმით, რომ თქვენი გვარის ოთხიოდე ასო, რო-  
მელსაც ქალები ხელისმწოწრადან ძლივსძლივობით  
ამოიკითხავენ (მე ატომოვი გამახსენდა), მათთვის  
მთელი სიმფონიის პარტიტურაზე უფრო ძვირფასია...  
— მოსკოვიდან როდის გამოფრინდით? — შემი-  
კითხა ძალად ნაცხობი.  
— უკაცრავად, ჩვენ პრაღიდან მოვფრინავთ, — გა-  
ვუსწორე მე.  
— როგორ, თქვენ ხოცისასც თამაშობთ?.. საუ-  
ცხოვრა...  
— არა...  
— ვერაფერი გამოიგია... მაშ პრაღაში რაღა გინ-  
დოდათ?  
— პიანისტების კონ-  
კურსზე ვიყავით.  
— ამერიკელებსაც შეხ-  
ვდებოდით?  
— იყვნენ...  
— ალბათ ყველა პირ-  
ველი ადგილები მათ დაი-  
კავეს!  
— დიან... (ძალად ნაც-  
ხობმა სიამოვნებით გაილი-  
მა), — პარტურში ყველანი  
წინა რიგებში ისხდნენ...  
— მე კონკურსის ადგი-  
ლებზე გვიტოვებთ, — ბრაზ-  
მორიყული შემუშენით გამა-  
წყვეტინა მან.  
— კონკურსისა კი რა  
მოგახსენოთ... საბჭოთა პი-  
ანისტების გამოხსენის შემ-  
დეგ ამერიკელები პრაღა-  
ში აღარ გამოჩნდნენ.  
— რასაკვირველია... —  
ნაძალადევი ღიმილით დაი-  
წყო ძალად ნაცხობმა. —  
ფორტეპიანო აბა რა საკრა-  
ვია? ხუთი ოქტავით რო-  
გორ უნდა გადმოსცეთ ამე-  
რიკული ცივილიზაციის მიღწევები? ვთქვით, აკიგლე-  
ბული ბროდვეის გამოსახვა გინდათ, ეს კიდევ მოხერ-  
ხდება: ათივე თითით ერთბაშად აიღებთ აკორდს,  
თხაც დრო და დრო მუშტებსა და იდაყვებსაც მოი-  
შველიებთ. მაგრამ სცადეთ გადმოსცეთ ცათამბჯე-  
ნის მეოცე სართულიდან ადამიანის გადმოგარდნა,  
სამხედრო მინისტრი იქნება იგი, თუ უბრალო ადა-  
მიანი, ვე სულ ერთია... ამისთვის ფორტეპიანო ღიმი  
ხანია მოძველდა.  
მანქანა შესახვევში გაჩერდა. ამხანაგები საჩქაროდ  
გადმოვიდნენ და სასტუმროსკენ გაეშურნენ.  
მე ძალად ნაცხობმა ჩამომარჩინა, რომელიც ძლივს  
გამოეტია მანქანიდან. უჩვეულო წვალბებისაგან (მას  
ლიპი და ჩემი ბარგი უშლიდა მოძრაობას) სახე ერთი-  
ანად ასწითლებოდა. უეცრად მან წარბები შეიკუმუნა  
და შემომხედა.  
— გესმით... გესმით კი-  
ვილისა და ლითონის ხელ-  
საწყობის ჩხარუნის ხმა! —  
მომმართა მე და წამით  
გაიტრუნა. — აი, იქ, ბრმა  
ნაწლავის ოპერაციას აკე-  
თებენ...  
— ნუთუ ასეთ ოპერა-  
ციას თქვენში ღია ცის ქვეშ  
აკეთებენ... — გავიკვირე მე.  
ძალად ნაცხობს გაუხარდა,  
რომ შესძლო ჩემი გაოცე-  
ბა, ხუმარას ღირსებით სა-  
თვალეებში ჩაეცინა და  
ხელგაყრილმა თეთრი შე-  
ნობის ღია კარებში შემო-  
ყვანა. ოთახში ორად ორი  
კაცი იყო.  
— ალბათ ახლობლებს  
უკრძალავენ ოპერაციას  
დასწრებას, — გავიფიქრე მე.  
ამ დროს სახამატური წა-  
მოყვირება და ველური სრო-  
ტინი კვლავ განმეორდა.  
მე ყურები დავიცე და  
ჩემს ნაცხობს ყვირილით  
მივმართე:

— ოპერაციის წინ რად არ აძინებთ ავადმყოფებს...  
სად გაგონილა ცოცხალი ადამიანის დანით სერვა?...  
ძალად ნაცხობი ლამის გადაფრინდა სიცილისაგან.  
თურმე, საოპერაციოში კი არა, მუსიკალურ მალა-  
ხიში ვიყავით, სადაც ფირფიტაზე ჩაწერილ ამერი-  
კელი კომპოზიტორის სიმფონიურ პოემას „ოპერაციას“  
უკრავდნენ.  
— ნუთუ სულ ეს არის ამერიკული მუსიკა? —  
ვკითხე გამყიდველს.  
— როგორ გეკადრებათ, სერ, — და პატეფონი ხე-  
ლახლა ახმაურდა. „ბუგი ბუგი“-ს მონოტონურმა  
ბრაზი-ბრუნმა ლამის გული შემეწიხა.  
— სერიოზული არაფერი გაქვთ? — ვკითხე უკვე  
მოთმინებთან გამოსულმა. გამყიდველი თითქოს რა-  
ღაცას მიხვდა, დაფატურდა, სადაც თაროს ქვეში-  
დან ფირფიტები ამოალაგა და საჩქაროდ დაუკრა.  
პირველმა ბეგრებმა სიმშვიდე დამიბრუნეს. სახეგა-  
ბრწყინებულმა ძალად ნაცხობს გადავხედე.  
— მაშ რა გეგონათ, სერ, ამერიკელებს სიმფონიუ-  
რი მუსიკაც საუცხოო გვაქვს. — გამყიდველმა ყურში  
ჩასჩურჩულა: — ჩაიკოვსკის მესხეთე სიმფონიას ვუკრა-  
ვთო. ძალად ნაცხობმა იხტიბარი მინც არ გაიტყნა:  
— მხოლოდ ამერიკელი შემსრულებლების და  
ბრწყინვალე დირიჟორების წყალობით უღერს ასეთ-  
ნაირად კლასიკური მუსიკა, სერ...  
გამყიდველმა ისევ ჩასჩურჩულა: თვითონ ავტორი  
დირიჟორობსო.  
და მე მალულად გამიციანა.  
— სწორედ რომ ჯადოქარია ჩაიკოვსკი, არა, სერ? —  
არ ვუსვენებდი მე.  
ჩემმა სიტყვებმა, გაცინებულმა გამყიდველმა და  
მბრუნებელმა ფირფიტამ უცებ გამოაფხინა მუსიკოსი.  
ამჯერად მან თვალს ვეღარ გამისწორა, დისკოდან  
ფირფიტა გადმოაგდო და საყულოწამოწმული გარეთ  
გავარდა... (კიდევ კარგი, რომ ჩემი ბარგი ხელში არ  
ეჭირა). ასეთნაირად რამ გაცეცხლა ეს ღიპიანი  
პიანისტი. — გავიკვირე მე.  
— პიანისტი კი არა, ფილარმონიის რწმუნებულია, —  
მომიგო გამყიდველმა.  
— ნუთუ მართლა... მე სწორედ მაგასთან მქონდა  
საქმე. ნეტავ სადღა ვნახავ?  
— როგორ, თქვენც... თქვენც...  
— დიან, თუ რწმუნებული ვარ... — ვთქვი და  
ქუჩაში გავიხედე.  
— ნუ გეჭიქრებათ, სერ, ერთი საათის შემდეგ  
იგი თვითონ მოგებნით. თქვენი კონცერტის ბილე-  
ტები მან უკვე ერთი კვირის წინ გაასადა...  
ამ სიტყვებით მოთიხლოვდა გამყიდველი და  
ფირფიტების შეგვრა გადმოცა.





**დაავადება**  
(მარკვადე)

„არა კაც ჰქვია...“

დამოცა  
პაპის სასწრაფო წინ...  
გისტაბოს ზნელ საქნისეც  
ლოცეთ ამაკბს იგი.

კაცის კვლავ არ ჯავრობს,  
ლიცავს მტყუნდეს ნაცადს  
და წესის დინრს სამსჯავრო  
ღვისის სამსჯავროს ნაცვლად.

სურს პლანეტა წარცხობს  
სისხლის ნიადვართი,  
სურს კაცობრივ დაწმარათა  
ფრდილს მარცხავდეს ქართი.

სურს ჰევინა ნიადვად  
ქალის ვისაცან კარული,  
მარცხ...  
დაძვინდა

შვიდი საუფროსო!

0. 6-ლი

— ამოდინა სანუთობს გაშვებ მარ, კაცო, და ბუა  
ვაკლი! სანუთობი არ გაკლდეს და მხ აზაფერი...

**მარკვადე**

თენღობდა. წყალმურეთული რიბსღვრი ნასილი  
გადაპკრდაც. საპუროდან ვასილე მატარებელი  
ულაძლედდა ეხსლოფენობდა წყლის გვიანას,  
სამშენებლოთი განაშენებლად ვარონი მხინარეია  
შენახილდა. შილად ორი ახალგაზრდის  
ხერგითა ჩრჩილა არადვედა მუცელდობის, ოსინ  
დღეანის ნებადართუვლად ორუკლმე წყალს  
სტუმრებტებს ჰვადენდ. თბრისისდადე დასწყის  
ლაპარაკო და ეტობობიდა, არც აპირებდნენ შეს-  
ენენებას. ანდელტინო ლემე მტყუნდელ შემოვლიათ,  
მეტი ფეხებუთი ვანისხენს, ბოლოს ორიგობობით  
ვგობრბობდნენ ქალეთა სახელდების ჩამოთვალში  
და ისეც რომ მოსწყინებდ, სხვადღებსა დარკადან  
შეივთებდა დაავარს ერთმანეთს. იბინი ღონიერ-  
ად ტრექუვდენს საფარავთი შეუთხოვლა რე-  
ვოლუციონის საკითხებსა და სპორტივო ოლიმპი-  
ადების თბრდებით, არ ფეხდებოდა ობილოვ  
მდორღეთა ვეაწიო, დღისს წაუჭებდს ტორკის  
აროლდობა და ურუკავა-პარკავებდა მოსალბობის  
როცკლე. ბოლოს ურუკავაშეშენი ახალგაზრდა  
მროლდენდა მეტეხიანა ახანას: „ახ, საქარ-  
ველის ტორკორისის ფართობი მთხობიო  
საქარველისისო“. მართალი ვითხრა, ეს აღარ  
მასობს... მხანადალ წარმოსთქვა თმბადავაქრე-  
ბა ეშაფევიბა, გამოლოცებულ მეზობელს ვადა-  
ხედა და გაწილდა.

— არ ვერტყუნებ, ახალგაზრდაო!— ენა აბიო-  
და მეზობელმა და თავი სწინალოზე გამოკაყო.  
— აღდენი რაში იცი უცხოებუ და შენ სამშობლოს  
არ იციებო... არ ვარცა ასე.

— ვიცო, მაგრამ... დამავიწყდა— იხანარის სხ-  
სიების ტონით თავის გამართობა მხანა თმბ-  
გავაქრეგაქრეს სტუმრებმა.

— არავითარი „დამავიწყდა“!— მხანა სიმკაცრე  
გემორობა მეზობელმა და ტყეის ჩანთა ფანტარავი  
შეიღო.— სიტყვებითა, ახალგაზრდა ხარ და მა-  
სხნობობს უბრე.

„ღობათი ღეხე“ დღეჭტობია“, ერთად ვითყურეს  
ახალგაზრდებმა და იმ სტუმრებტების პოპა მხანა,  
დღეჭტობის ახანის დროს რომ პროფესორი დაწუ-  
ყბის პურებსა.

— არ, მე 43 წლის კაცი ვარ და რასაც ესწუ-  
ვლებ ამრფერი მავიწყებდა... იბინო, რომ ყველა-

კრი არტული თავმჯამობად  
იბრეწეს ერთმად დოვი  
...მოდერად შენა ვაგნებ,  
მხარედ დასტრე მარცხე ოლი...  
ერთბას ტანვად იმუწეხს,  
მედიდარ სამკლე წინა,  
მოდრე მხარე რომ ვაგნოდ,  
დალუქამ მოწეხს...  
მეღს ღორხია— ღობა მანვ  
შენახედე, მხრო მელი  
სამკლე ბრე დამიწედე,  
რომ ვაჭრე მხოლად ხელი...  
ვვლადირო თუ ვავსწრედ  
და თუ კვედას მე ვაჭრე  
ჩას ფეხიან ვაჭრედ...  
— იმ რა წერი მხოლოდ  
— გაბარება მეღს გეჟე  
და მხოლოდ ეუნიანს დაწედე  
საბუთის ვასხაგად—  
წამება მეღს ერთვდება...  
დავად ვეღს არ შევაბარა,  
და იმ დღედან ოცი მხოლოდ  
ხელს აწედა წარმად...  
მეღს წერბა უბნად ჰქვია,  
და ადევნად ხარკი ბალანს,  
დავად ოცი კმყოფიდა.

რომ მოწოდება ხათხათებს...  
...პოლის, რაცა კარს მოადვით  
ჩრტიანა ერთმად დღოთი,  
ჩანოთი დღე მარცხად იბი...  
ჩანოთი დღე მარცხად იბი...  
ჩანოთი დღე მარცხად იბი...

**0. შირიკაბაძე**

შევიტობენ სიყვარული

ან. გ. ა. შევიდისა



1. თავმჯდომარის სა-  
ყვარულს— რუსეთული მო-  
რეცხსო.

2. მალაზიის გამეგ ემა-  
სხნები და ჭკუანი ერთად  
ჩავერდით.

3. ვეიმმა წამლად წყალ-  
გარეული ღვიზო გემოუწე-  
რა- შესაგებას ღვიზის სარ-  
დავებით გასწავლბანო.

4. დედამ შვილს სვემა  
და „გიადი დედა, მიშყე-  
ლეო“.

რომ მოწოდება ხათხათებს...  
...პოლის, რაცა კარს მოადვით  
ჩრტიანა ერთმად დღოთი,  
ჩანოთი დღე მარცხად იბი...  
ჩანოთი დღე მარცხად იბი...  
ჩანოთი დღე მარცხად იბი...

**0. შირიკაბაძე**

შევიტობენ სიყვარული

ან. გ. ა. შევიდისა

ანარქული კრიზისის შემდეგ საფარველის ახალი მთავრობა  
შეადგინა ერთი ხდოდა, რომელიც წინააღმდეგობას  
ვის სასწრაფო რეკონსტრუქციას დანიშნა.



**0. შირიკაბაძე**

**თეათრის ხეობათი**

ახალგაზრდა კაცმა ფრთხილად შეიღო კაბი-  
ნეტის კარები და ფურო მეტი სიფრთხილით  
ეიოთბა:

- შეიძლება?
- ხომ შეიძლება, რომ არავინ შეაყის, რალა  
კითხვა გინდა რას იტყვებ?
- სურღო მამებს ტეზიო, ვერაფრით ვერ მოვი-  
ცილებ.
- ავიგო ის, ა, შენს პირდაპირ რომ დღეც  
მითთანვე მოსლეს თითქმის საფეხდრთი მიმართო:  
— ასეთი ვეგიცი სურღო შეგაშინა!
- არა, ბატონო ქეზიო, მამა მხა შუაშია,  
მეარამ მაინც ვერცხემა თეფერი დაზარტა.  
ესა დღეფრებდა, რომ ექიმს მაინც მიმართო,  
ველა რომ ასე შეგწავლიდა ეუფრდეს მელიკო-  
ვებსა, აქმედ ვეწღვარო ავადმყოფობა ძირმოვ-  
ადმიოხებრებდა... სურღო, მენო კარო, ურუკო  
რამბა, ახალავე მობრეწე, ვაუხდინი წყისვი  
ენსტეკობდა და ვათავდა...
- ექიმმა დაზმარების აღმოჩნდა ამ სიტუციებში  
დადათიო, მეგარამ პაციენტი წასვლის მაინც არ  
აპირებდა:
- მაინც შეიძლება თეფერი დაზმარება... თქვა  
მან, — ხელო სამედიცინო უნდა გამოკვლადელ და  
შესადამეფილო სურღოთს ვე უხადე არ ვამბარბო.
- მერე რა, ხელო ხომ ვავსოვლი!
- იქნებ ბავშვობის მორეკო...
- ბურუნდინი გავიხიბე და მოყლდე მოკრა:  
— არა, ბატონო მხოლოდ იმ შემთხვევაში ვაძ-  
ლეღელ მოყლდელო სიხიბინა. სიტყვებით  
— არა, ბატონო არ ვერცხემა სამედიცინო ხე-  
ღონელ დაკაციბინა ტეზიო.
- სირცხვილია, სირცხვილია, ასეთი ვეკაცე  
სურღოს გეჩინო ბიჭუნდებს თხოვლობი! შეუთბით  
მეპაცი სიხიბ ავადმყოფობის დროსაც არ ტო-  
ვებს საშენობის და თმვენ ეს სურღოს დროს  
თხოვლობით ბიჭუნდებს.
- პაციენტი წამოვიდა და იმ საღამოს სურღე-  
სურღებით ასე გვამინდა ბავშვინი მაინც წყისვი  
ტეზიოებზე. არ ვიცო ვაუხდინის ხარისხის ბრალი

იყო, თუ სურღოს სიძლიერისა, ავადმყოფმა სურ-  
ღო ვერ მოიპრინა.

სამედიცინო მანიც გამოცხადდა, ვალდებულმა  
ვალდებულბათა.

გადათვლილი იდეა დასლობა და მომრტობა და-  
სხს ნივითუღად უქსნიდა ზურს. ახანარი გეშ-  
ტრიაო, ზოგა შემოქმედვარა ზურს თხოვლობს,  
ხოცი უსუბა შეეუბრბოლი და ორიული მთოვა-  
ცილებ...

— ავიგო ის, ა, შენს პირდაპირ რომ დღეც  
დაზარტულ... არა, არა, შესამე... ხო, ეს...— არ-  
ჩვევინდა ზურს ერთი ღამის ოლიმპი უხდებლბის მო-  
ქალაქე, შლანა რომ მხრობა თავზე.

მეგარამ ამ დროს ზვენი შრის გათყუდელო  
სურღოთს გახსნებდა და ასეთი ტეზიანება ბეხა, ვეშლა  
მეურსის რომ ცალკეული მანიც არ მოვიღდა დაკეზინებლი  
ტეზიონს ორღონდობასთან შედარებით.


ამოჩრეული ბურის პაციენტი აქამინდა:

- მე მური, აწი თევენე გეწონდები!
- საყვარული გავიხსი ყურადღებ შეგება:
- რამბა საქმე მოქალაქე ზურს რას უწე-  
ვინებო! იქნებ უკლამ ვამოცხადებო იყო რა არსი!
- თვეენ ჰეიფეთ თუ იყო რა არსი!
- მაგისებრ არ ვერცხემა, ბატონო!
- თმვენ ეს იბრბიეთი, მეგარამ თვეენი ვაევი-  
დელო?

თეთრი ხალათი ავიტა, სურბა, ახალი  
გარტეხილი, ხელუნი დაიხანა, მეტი რა ჰქვანს!

- მარტო თეთრი ხალათი და სამედიცინო  
ხელის დახანა მიგებინას არ ნიშნავს!
- სურბედა მოყლდელო სურღოთინი ვაევიდელო დაღე-  
ღელო მოყლდელო თეასლ არ ამბობობო, დაზ-  
მულად ვამოვიდა, მხოლოდ ახლა იცო სასურთო  
ტრანსკეპინი გამოყუმილობა თეთრბრალთა ექმინი  
და მოყრღებლად მიხალა:
- მართალია, მომრტო, მარტო თეთრი ხალა-  
თი და სამედიცინო ხელის დახანა მიგებინას დაცვის  
არ ნიშნავს ისევე, როგორც უსიტეხი ავადმყოფობა  
კარვად ყოფნის არ ნიშნავს!





მე დამწყები მწერალი ვარ. წერა ახლახან დაიწყე. ვმუშაობ სახბანკის ერთ-ერთ საქალაქო განყოფილებაში მოლარედ. ჩვეულებად დამჩემდა ახლად დაწერილი ნაწარმოები ჯერ ჩემს ნაცნობთა წრეს გავაცნო, შემდეგ კი მივიტანო გამოსაქვეყნებლად.

უკანასკნელ ხანში დავწერე პიესა საბჭოთა მოსამსახურეთა ცხოვრებიდან. ბუნებრივია, რომ ჩემი ერთ-ერთი პირველი რეცენზენტი ჩვენივე ბანკის მმართველი იყო. როდესაც მას პიესა წაუკითხე, იგი მოემზადა თავის აზრის განთავსებლად, რისთვისაც ჯერ ოდნავ შეყოყმანდა, ისე როგორც საფულე ჩემზე რეზოლუციის დადების წინ, შემდეგ კი თქვა:

— თემა ძირითადად კარგად გაქვს დაძლეული, თუ არ მივიღებთ მხედველობა მთელ რიგ არსებით ნაკლოვანებებს. საბჭოთა ოჯახი ცოცხლად არის დაბატული. ჩემის აზრით, უფრო მეტი სიღ ცხლეა საჭირო. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, ჩაურთო ერთი სურათი, სადაც ნაჩვენებია იქნება ერთი სასიხარულო დღე ოჯახის ცხოვრებაში—ხელფასის მიღების დღე. კარგი იქნება, თუ ნაჩვენებთ სახბანკის ოპერაციებისა და ნაწარმოებს გავშლით ამ ფონზე.

— დიდებულია!—მივუგე მე, — მაგრამ თქვენ ატყობთ თუ არა, რომ პიესაში კონფლიქტი არ არის? ეს მე მითხრა ერთ-ერთმა ნაცნობთაგანმა, რომელიც მილიციის ხაზით მუშაობს..

— კონფლიქტიც შეგიძლია გამონახო, — მომიგო ბანკის მმართველმა, — ავიღოთ იგივე ხელფასი. შენ შეგიძლია ნაწარმოების გმირს ოჯახამდე არ მიატანიო ხელფასი და მთლიანად გარედ, ძმა-ბიჭებში დაახარჯინო. აქედან — განხეთქილება ცოლსა და ქმარს შორის. ამაზე დიდი კონფლიქტი, ვფიქრობ, არ მოიხატება.

— ეგ მართლაც კარგია! — შევძახე გამარჯვებულის გამომეტყველებით. — მუშაობას შევუდგები, გმადლობთ, პატივცემული ივანე! — და გამოვემშვიდობე.

ბანკის მმართველის მითითება შევასრულე, რამაც გამოიწვია პიესის ოდნავ გაზრდა. შემდეგ პიესა მივუტანე ერთ ამხანაგს, რომელიც შემნახველ სალაროს ინსპექტორად მუშაობს. მან გულდასმით გაიკეთა სათვალე, ამოიღო მოზრდილი ხის სათუთუნე, რომელზედაც წვრილი ასოებით, დანით ამოკვეთილი იყო სიტყვები: „შეინახეთ თქვენი ფული შემნახველ სალაროში“, გაახვია თუთუნი და კითხვას შეუდგა. ძირითადად ნაწარმოები მოიწონა, მაგრამ მისაყვედურა, რომ არაფერი იყო ნათქვამი შემნახველ სალაროს როლსა და მნიშვნელობაზე. ამის გამო მე გავიკვირვე.

— ეს აუცილებელიც არის, მით უმეტეს, რომ შენს პიესაში არის საამისო ადგილი, სადაც შეიძლება შემნახველი სალაროების შესახებ ჩუბრთო რაიმე. აი, მაგალითად, ავიღოთ სურათი, სადაც ნაჩვენებია ხაწარმოების გმირის მიერ ხელფასის ერთ დღეს დახარჯვის ტრაგედია და სადაც, ამასთან დაკავშირებით, ცოლის გარეშე ატება კუდ-მინაციურ წერტილს აღწევს. შენ შეგიძლია გაძწარებული ცოლის მონოლოგი აქ ამალკლვებელი სიტყვებით დაამთავრო: „შეინახეთ თქვენი ფული შემნახველ სალაროში და თქვენს ქმრებს საშუალება არ მისცეთ ერთ დღეს დახარჯონ მთელი თვის ხელფასი...“

ინსპექტორი ისე ავზნებულად და დამაჯებლად დაპარაკობდა, რომ ზე იძულებული ვიყავი დამეჯერებინა მისი. ამ ცვლილებით, წარუდგინე პიესა ერთ კარგ ამხანაგს, რომელიც ქალაქის კომუნალურ განყოფილებაში მუშაობს. როცა კითხვა დაამთავრა, მან ტუჩები აპრუწა:

— რას გავს ეს! სწერ პიესას საბჭოთა მოსამსახურეთა ცხოვრებიდან, შლი ქალაქის ფონზე და არაფერს ამბობ, მაგალითად, დასუფთავების ტრესტის როლზე საქალაქო მეურნეობაში. ან რატომ არ შეიძლება ორიოდ სიტყვა ჩაურთო კანალიზაციის საკითხებზე. მე არ მეგონა, თუ ცხოვრებას ასე დაშორდებოდი და ტენდენციურობას გამოიჩენდი.

მეგობრის ასეთმა ციფმა და ბრაზნარევიმა სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, გამაგულანეს. მაშინვე გავწიე სახანძრო დაცვისაკენ, სადაც კვლავ ამხანაგი მეგულებოდა.

სახანძრო დაცვის უმცროსმა თბილად მიმიღო. ამჯერად, პიესა თვითონ მე წავიკითხე. სხვათა შორის, ეს ამხანაგი კულტსახლის დრამატულ წრეში იყო ჩამბული და შეეძლო უფრო სასარგებლო აზრის გამოთქმა. როცა კითხვა დავამთავრე, ის არ აჩქარებულა აზრის გამოსათქმელად, ისე როგორც ზოგჯერ ხანძრის ჩასაქრობად არ ჩქარობენ ხოლმე. შემდეგ უცებ წამოხტა და მითხრა:

— ერთი დიდებული აზრი მომივიდა თავში. საჭიროა პიესაში რაღაც საშინელი მოხდეს, რომ მაყურებლის გული სულ ერთიანად იუორიაქდეს... ხანძარზე საშინელი კი, აბა, რაღა იქნება! მეოთხე მოქმედებაში შენ შეგიძლია სასლი გადასწვა რაიმე შემთხვევის მიზეზით. აქ უნდა გამოჩნდეს, რა თქმა უნდა, სახანძრო რაზმის სისწრაფე და მოქნილობაც.

მეგობარს ხათრი ველარ გავუტეხე და დავეთანხმე. იან დავურთე:

— რაკი ხანძარი აუცილებელიც, მას მოვახდენ ზაფხულს პერიოდში, თუნდაც ცოლის აგარაკზე განგზავრების მეორე-მესამე დღეს. ამით მეორე კუოდელსაც დავიჭერ: ეს იქნება აგიტაცია, რომ ყველა ცოლმა ვერ გაბედოს აგარაკზე წასვლა ხანძრის გაჩენის შიშით. ეს კი მნიშვნელოვნად განამტკიცებს ოჯახის ფინანსიურ მდგომარეობას...

— ეს უკვე უკნო გემოვნების საქმეა. — მითხრა მეგობარმა, მოუკიდა პაპიროსს და ასანთი არაჩვეულებრივი სისწრაფით ჩააქრო. გამოვედი გარედ და აღარ ვიცოდი სად წავსულიყავი. მყავდა კიდევ ერთი მეგობარი, რომელიც ტყავზე დღეულის დამზადების საქალაქო კანტორაში მუშაობდა. მაგრამ ის, ალბათ, რაღაც უცნაურს მირჩევდა, მაგალითად, მატყლის ჩაბარების ოპერაციების ჩვენებას...

სტეფანე აილუშელი

შენ ქალაქი არ გქონია...

ქ.სტალინის სასურსათო მაღაზიებს მომხმარებლებსათვის პროდუქტების შესახებ ვადა არა აქვთ ქალაქი.



პროდუქტებით გამატენილ სასურსათო მაღაზიას ვეწვიე და ყველი ვთხოვე აეწონა ნოქარ-ძაბა. მან ხელზეში შემომხედა, პაუზა რომ დაამთავრა და ყველისთვის მიცემული ფული უკან ჩამაბარა, თან დახმინა: — ჩემო ძმაო, გინდა წეხი დავარდვიო?

ქალაქი რომ არ გქონია, რაში უნდა შეგისვია? — ახე უთხრა ხხვა მყიდველსაც, თან დამიღიოც მომეფელა, უქალაქლომ, უკარაქლომ გაისტუმრა ბოლოს ყველა. მართლაც, აბა, შეუხვევლად რას წაიდებ — ყველს თუ კარაქს, გამყიდველის მასუნი და დამიღიო ხომ არა კმარა?

ა. ლიანხისპირელი



დაკეტილი ოთახიდან ხმა იხმოდა წიგნებისა: — რა ხანია არ გვიხილავს ხინათლე და შუქი მზისა; თაროებზე უხმოდ მყოფნი თავს ვიმშვიდებთ მოგონებით,

ნიგნების სარიჟარი

ტყიბულის რაიონის № 1 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში მერხები დააწყეს. ბიბლიოთეკა დაკეტილია.

ჩვენს შუა კი, ვამალებით, ხადეს ქსოვენ ობობები. თაგუნებიც მოუხვევინად გვეხმნიან და ყდებს გვიღრღნიან... დირექტორი, დირექტორი, კარებს როდის გავვისხნიან?

გიმინა ფილიპონიძე

აგაკოს „მშენებლობა“

თბილისის ლენინის რაიონს ქალაქის ცენტრალურ რაიონებთან აკავშირებს ვიწრო, მაგრამ გრძელი ხიდი. (ე. წ. „სადგურის ხიდი“), რომლის ქვეშაც გარბი-გამორბიან მატარებლები.

აი, ამ ხიდის ერთ კუთხეში ამოთხრილია მოზრდილი ორმო... ფრთხილად, მკითხველო, შიგ ფეხი არ ჩაგვივარდეთ! ეს ორმო უბრალო არ გეგონოთ. ეს არის ზემოაღნიშნული ხიდის „მშენებლობა“.

საქმე იმაშია, რომ ხიდის გასაფართოებლად დიდი ხანია შედგენილია გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. ამ ხიდის გაფართოება აუცილებელია და გადაწყვეტილიც, მაგრამ რკინიგზის სააღმშენებლო კანტორის ელმძღვეანელმა მუშაკებმა ზემოაღნიშნული ორმოს ამოთხრით დაიმშვიდეს თავი და თითქმის ამითვე დაამთავრეს ხიდის „გაფართოება“.

სააღმშენებლო კანტორის მუშაკებს, პირველ რიგში კი ამბაკო ვაშაკიძეს, ეს საქმე არ აღარდებს: ორმო ამოთხარა და წერტილიც იქ დასვა.

დიახ, წერტილი ორმოსთან დასვა ამბაკომ, მაგრამ, ჩვენის აზრით, ამბაკოს ადგილას რკინიგზის სამმართველომ უფრო დაინტერესებული მუშაკი უნდა დასვას.

აი, მაშინ კი ნამდვილად ეშველება ხიდის გაფართოების საქმეს.

ა. სხვაველი



არის შემთხვევები, როცა ერთი დაწესებულებიდან მოხსნილ უფუნარო მუშაკს ნიშნავენ მეორე დაწესებულებაში მისთვის შეუფერებელ თანამდებობაზე.

ნახ. ნ. მაღალაშვილის



— გაიგა, ჩვენს თავმჯდომარეს მისი ხეობა.  
— ვიცო, ჩვენს დირექტორად დანიშნეს.

ჩანგალი ღანივნის

„ნიანგის“ № 15-ში გამოქვეყნდა მამხილებელი წერილი „ავტომატობილის“ სათაურით. წერილში მოყვანილი იყო „ავტოტრანსის“ თბილისის ხადგურის მიერ ფანანაურის მიმართულებით ბილეთების მცირე რაოდენობით გაყიდვის ფაქტები.

ამ გარემოებას ბოროტად იყენებდნენ საქ. სამხედრო გზაზე მომუშავე შოფერები (როგორც „ავტოტრანსის“, ისე „ინკოპტრანსის“), რომლებიც ზოგიერთ მორიგე კონტროლიორთან შეთანხმებით ეწეოდნენ მკაფიოების გადაყვანას, არღვევდნენ ტარიფს, აღებულ ფულს ითვისებდნენ და ამით ზარალს აყენებდნენ სახელმწიფო ორგანიზაციას.

„ნიანგის“ მხილების საფუძველზე საავტომობილო სამინისტროს და „ავტოტრანსის“ მიერ გამოყოფილი კომისიის შემოწმებით მთლიანად დადასტურდა წერილში მოყვანილი ფაქტები. დამაშავებელი მიმართ მიღებულია სასტიკი ზომები. „ავტოტრანსის“ თბილისის ხადგურში შემოღებულია ყველა მარშრუტების ბილეთების საქამო რაოდენობით გაყიდვა.

განსჯის

„ნიანგის“ № 19-ის მე-5 გვერდზე მოთავსებულ თემურ ტარბას მეგობრული შარკის წარწერა უნდა იკითხოოდეს ასე:

„...ორივე რომ ხავეცივად აქვს საქმე თემურ ტარბას: ზეჭტარზე 112.6 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა!“

ღენინგორში

ესეც ღენინგორი. ამ ორი წლის განმავლობაში როგორ შეცვლილა, როგორ გალამაზებულა.

მანქანიდან ბარაქიანად დამტვრეული გადმოვიდა, იძისის ვაი-ვუის ხიბზე გადმოსვლისას უეცარმა დამუხრუჭებამ და იარბაცმა ფეხზე ღენინგორის მისაგონებელი ნიშანი დამიტოვა: მუხლი გამეჭრა და იძულებული გავეხდი პირველი უამბარებელი ათეიაში შევბრუნებულიყავ.

რებს ფართოდ გავაღე, მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ოთახში ძე ზოციცილი არ ჰპაჩნებდა. ორი სხვა მომხმარებელიც უემოვიდა ოთახში რეცეპტით და შუშ-ბით ხელში.

— იდილორე, პაი, რა-დლორე!—გასძახა ერთმა. მელოცე ფოსსა კარებს დაუწყე კააუნო.

— ისილორე, პაი, ისილორე!—დავიყვირეთ სამივემ ერთად. დამლაგებელმა ქალმა გამოყო თავი.

— რა გაყვირებთ. რა მოხდა? ისილორე სადღაც წავიდა, დაიბარა ერთ საათში მოვალა. დაუცადეთ და მოვა.

— ეს სირველი შემთხვევა კა არ არის, ყოველთვის ასე ხდება.—ჩაილაპარაკა ერთმა და ვაუდგა ვხას.

ერთი საათის ლადინს ისევ სასტუმროს დაბლა სასადილოში შესულა და სადილობა ვამჯობინე.

- კატლეთი მომიტანეო!
- ვინ თავმკვდარე გეტყოდა უარს, რომ იყოს!
- მაშ რა გაჭვთ?
- თაუი-ბოლო: ბულღამა, „სოუსი“ და დილ-ნდელი ხაში გავჭვს.
- განობრუნება დავაპირე, მაგრამ სიშვილმა შემაჩერა.
- ერთი ბულღამა მომიტანე, თუ ძმა ხარ.
- სადლის გამზადდამდე საუბარი მოუქან მეზუფეტის დავუწყე.
- რამ ვაშაგა უქვენი სასადილოს კედლები ასე? დიდი ხანია, რაც რემონტი არ გაგიკეთებიაო?
- სულ ცოტა 4 წელი იქნება.
- მერე რატომ არ აკეთებთ?
- ამის რემონტს კი არა, სამი ფარდულის დადგმას სამი თვე მოუწოდნენ, ამის რემონტზე ყურს ვინ გაიბერტყავს? შუა უბანში არ გაგივლია?
- არა.
- ნურც გაივლი, თორემ დაიმტვრევი. ისეთი საშინელი გზა არის, რომ

ღამი თვით ღენინგორელები ვერ ბედავენ იმ უბნით სიარულს. აქაური არ სჩანხარო, ვისთან ჩამოხვედით?

- არავისთან, სასტუმროში ვაპირებ ღამის გათევას.
- მეორე სართულზე არ გაბედო დაძინება, თორემ მკებნარები შეგჭამენ.

— რა განსსვავებაა მეორე და მესამე სართულს შორის?  
— მკებნარის ამბავი ხომ მოგგსენებათ: გული სუსტი აქვთ, მესამე სართულზე არ ადიან, იქაური სისუფთავე და გალესილი კედლები ეჯავრებათ, ერთი სიტყვით, მეორე სართულზე დაძინებას არ გირჩევი.—ამ დროს გაშავებულ თეფშებზე მოლივილივე, მწვანილით „შეზავებულ-შეკაზმული“ საქმელი დამიდგა მომტანმა.

- მლაშე საქმლის პირველსავე ლუკამე პირი გამომითთუქა.
- ეს რა არის, შე კაცო, ბულღამა თუ ბაღღამაა?
- ორივეა, ჩემო ბატონო.
- რამ დამაღლა ესე, რა ამბავია?
- გემოვნების ამბავია, ბატონო, ზოგს მლაშე უფრო უყვარს. თქვენ რაკი არ გყვარებიათ—„სოუსს“ მოგართმევთ იმისთანას, იმისთანას, რომ იფი!—და თან თვითონვე ნერწყვი გადაყლაპა.—ისეთია, რომ უკეთესი არ შეიძლება.

— რაკი ასეთი ყოფილა, მომიტანე.  
მომიტანეს „სოუსი“, მაგრამ რა „სოუსი“: წყალ-წყალა წვეწმინდვარ საქმელში სამად სამი ნაჭერი ხორცი, ორი კართოფლის ნათალი და მოუთუთუქავი ხახვის ნაჭრები ტივტივებდა.

- შენ „სოუსი“ იცი რა არის?—შევეკითხე მომტანს.
- რა ვქნა, ბატონო, საქმელი ვგ არის. თუ მოგწონთ, მიირთვით, გაამოთ, და თუ არა—თქვენს საყვედურსაც გავუძღვებო, მაგისთანა საყვედური პირველად ხომ არ მესმის?

„სოუსი“ უკან მივებრუნე, ფული გადავიხადე (ან უკეთ რომ ვთქვათ, გადამახდევინეს) და გამოვედი.

ქუჩაშიც მესმოდა მსუქან მეზუფეტის ხმა:  
— კომერციული მადლობა, თუ მოგვიგდეთ 12 საათამდე ღიაა ჩვენი სასადილო!

სამი დღე გავჩერდი ღენინგორში. მეგონა მსუქანი მეზუფეტის ნალაპარაკები მისი სადილივით ტყუილი იქნებოდა, ვინახულე ბაზარი, შუა უბანი, სასტუმრო, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ მეზუფეტე მართალი აღმოჩნდა.  
წამოვედი ღენინგორიდან და თან გულში საყვედურს ვუთვლიდი იმით, ვინც სტუმართმოყვარე ღენინგორელებს სახელს უტებს.

ვალერი ჩანგალი

სარედაქციო კოლეგია: გ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), ა. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: ღენინის ქ. № 14. ტელ. 8-10-49

ბელმოწ. დასაბ. 1949 წ. 1/XI. ტექსტი აწუობილია ლ. პ. ბერიას სხ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. შეკ. №, 1308. ღენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შეკ. № 2234. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 113. ტირ. 11000. უკ 04443



# სხელი ღღე

ზოგიერთი საშუალო სკოლის მასწავლებელი სუსტად არის მოწყობილი და გაკვეთილებს ზერულად ატარებს. კორესპონდენტი ილიან

ნახ. გ. ფირცხალავასი



— დავიღუპე და ეს არის. დღეს სკოლაში კომისია მოდის და ჩემმა მოწაფეებმა საგანი არ იციან!  
 — შენ ვინ რას ვეტყვის, შეიღო, როგორ, იცოდი და არ ანწავლე თუ?!